



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 19 მარტი, 2014 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი (თანაკოორდინატორი)
2. ნათია აბრამია - ჯანმრთელი სამყარო
3. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
4. გიორგი დავიდოვი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
5. მერი ლობჯანიძე - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
6. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
7. ლაშა ჯულელი - საქართველოს გაეროს ასოციაცია
8. ანანო ასათიანი - საქართველოს გაეროს ასოციაცია
9. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
10. თამარ ოვასაპიანი - ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია "ახლებური ხედვა"
11. ნაირა ბეჰიევი - "კავკასიური მოზაიკა"
12. ლეილა ნაროშვილი - რეპატრიანტთა კავშირი
13. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
14. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
15. თიკო ტყემელაშვილი - მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
16. გიორგი გაბუნია - ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
17. ნინო ტლაშაძე - ადამიანი უფლებათა ცენტრი

განსახილველი საკითხები:

1. ჯგუფის საქმიანობის 2014 წლის გეგმები
2. ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და შემდგომი ნაბიჯები
3. ღონისძიება ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში
4. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის თანმდევი ახალგაზრდული ღონისძიება
5. ტელეკომპანია GDS-ის შემოთავაზება
6. სხვა საკითხები

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა შეხვედრის დღის წესრიგი. ძირითადი საკითხების განხილვამდე ჯგუფის წევრებმა მოკლედ წარმოადგინეს თავიანთი ორგანიზაციები.

დამსწრეებმა იმსჯელეს ჯგუფის საქმიანობის 2014 წლის გეგმებზე, სამუშაო საკითხებსა და მიმართულებებზე, ასევე ორგანიზაციების მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებში ჯგუფის წევრების ჩართულობის შესაძლებლობაზე. თანაკოორდინატორის თქმით, საჭიროა მეოთხე სამუშაო ჯგუფის საქმიანობის მეტი პოპულარიზაცია სხვადასხვა უწყებებთან თუ ორგანიზაციებთან შეხვედრების გზით. კარგი იქნება თუ თანაკოორდინატორები შეხვედებიან საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს, ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებს. გარდა ამისა, აუცილებელია ჯგუფის მიერ შექმნილი პოლიტიკის დოკუმენტების ადვოკატირების გეგმის შემუშავება.

ჯგუფში მომზადდა ხუთი პოლიტიკის დოკუმენტი შემდეგ საკითხებზე: არაფორმალური განათლება, ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია, კულტურა და კონფლიქტები. ჩატარდა კონფერენცია, სადაც შესაბამის უწყებებს წარედგინათ აღნიშნული დოკუმენტები. "კავკასიური მოზაიკის" წარმომადგენლის თქმით, კონფერენციის შემდეგ სამინისტროებმა მიივიწყეს ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული რეკომენდაციები. საჭიროა მეტი აქტიურობა და ადვოკატირების უფრო ეფექტიანი გზების შემუშავება. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ ოსების, ინტეგრაციის პრობლემაზე.

მსჯელობის შემდეგ დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა სამუშაო ჯგუფების კიდევ ერთხელ შეკრება და პოლიტიკის დოკუმენტების განახლება. ამის შემდეგ აუცილებელია ცალკე შეხვედრების ორგანიზება შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებთან ევროკავშირისა და საელჩოების წარმომადგენლების მონაწილეობით. შესაძლებელია ასევე დოკუმენტების განხილვა პარლამენტის კომიტეტებში.

თანაკოორდინატორის თქმით, ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობების გაძლიერების კოალიციური პროექტის ფარგლებში 2013 წელს ჩატარდა ვორკშოპი კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე. წელს დასაგეგმია ახალი ღონისძიება. არის ინიციატივა, რომ 2014 წლის ვორკშოპი მიემდვნას ახალგაზრდულ საკითხებს, რადგან მიმდინარე წელს თბილისში ტარდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს ახალგაზრდული ფორუმი, როგორც ეს იყო შარშან კომინიოვში.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის ინიციატივით ვორკშოპი ჩატარდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში და დაეთმობა ახალგაზრდული საკითხების მიმართულებით საჭიროებების ანალიზს. ამის საფუძველზე კი შემდგომ მომზადდება ახალგაზრდული ფორუმის პროგრამა. პროექტის ფარგლებში ვორკშოპისთვის გამოყოფილია მხოლოდ 1200 ევრო, რის გამოც საჭიროა დამატებითი რესურსების მოძიება. თანაკოორდინატორის თქმით, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა მხარდაჭერის მზაობა გამოთქვა, გარდა ამისა შესაძლებელია საელჩოებისთვისაც მიმართვა.

ახალგაზრდული ალტერნატივას წარმომადგენლის თქმით, რამდენადაც ახალგაზრდული ორგანიზაციები მინიმალურად არიან წარმოდგენილი ძირითად ფორუმზე, ახალგაზრდული ფორუმი მათი ხმის დაფიქსირების კარგი საშუალებაა. თანაკოორდინატორის თქმით, გამოცდილების გაზიარების მიზნით, მიმდინარეობს კონსულტაციები კომინიოვის ახალგაზრდული ფორუმის ორგანიზატორებთან. მუშავდება მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები. ფორუმში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 50 მონაწილე, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის, ისე ევროკავშირის ქვეყნებიდან. დამსწრეებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს ვორკშოპის ახალგაზრდულ საკითხებზე ჩატარებას და შეთანხმდნენ, რომ თანაკოორდინატორები ჯგუფის წევრებს პერიოდულად მიაწვდიან ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობის" წარმომადგენელმა წამოაყენა ინიციატივა, რომ გაკეთდეს ცალკე სესია ქალთა საკითხებზე, თუმცა არა ფორუმის ფარგლებში. აღნიშნულ სესიაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ექნებათ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია მზად არის მცირე ფინანსური წვლილიც შეიტანოს სესიის ორგანიზებაში. დამსწრეებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს წამოყენებულ ინიციატივას და შეთანხმდნენ, რომ თანაკოორდინატორი ამ საკითხს დააყენებს საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე.

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობის" წარმომადგენელი დაინტერესდა აქვს თუ არა შედეგი იმ რეზოლუციებს, რომლებსაც ჯგუფები ფორუმზე ამზადებენ. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, კარგი იქნება თუ ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტი განმარტავს რა მექანიზმები არსებობს რეზოლუციების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

თანაკოორდინატორმა დამსწრეებს გააცნო ტელეკომპანია GDS-ის შემოთავაზება. მისი თქმით, მზადდება ახალგაზრდული გადაცემა, რომლის შემქმნელებსაც აინტერესებთ, თუ რა საკითხებზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ

თანაკოორდინატორს გაუგზავნიან სავარაუდო თემების ჩამონათვალს და იმ ექსპერტების მონაცემებს, რომლებიც შეძლებენ გადაცემაში მონაწილეობის მიღებას.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ორგანიზაციის მიმდინარე პროექტის შესახებ, რომელიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად ხორციელდება. პროექტის "ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა" ფარგლებში აქტივობები ხორციელდება ოთხი ძირითადი მიმართულებით: საზღვარგარეთ მყოფ მემამულეთა როლის გაზრდა ქვეყნის განვითარების პროცესში, მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა, ცნობიერების ამაღლება მიგრაციის საკითხებზე და მიგრანტთა უფლებების დაცვა (უფასო იურიდიული დახმარება დაბრუნებული მიგრანტებისთვის). 2013 წელს პროექტის ფარგლებში მომზადდა მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი.

შეხვედრის ბოლოს თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ევროკავშირისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული სამწლიანი რეგიონალური პროექტის "კვალიცია ნდობისათვის" ფარგლებში დაგეგმილი სემინარის შესახებ.

პროექტი სამწლიანია და იგი 2012 წლის ბოლოდან ხორციელდება სამხრეთ კავკასიაში (სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არააღიარებულ რესპუბლიკებში). იგი მიზნად ისახავს რეგიონში დემოკრატიისა და კულტურათშორისი დიალოგის განვითარებას, ასევე ადამიანის უფლებების დაცვას, ნდობის აღდგენასა და ხალხთა შორის კონტაქტების გამყარებას. პროექტს მართავს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი რეგიონში მოქმედი პარტნიორი და ასოცირებული ორგანიზაციების დახმარებით. საქართველოში პროექტით დაგეგმილ ღონისძიებებს ახორციელებს საერთო-სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო" და ადამიანის უფლებათა ცენტრი.

2013 წელს ჩატარდა სემინარების ორი რაუნდი ადამიანის უფლებათა და კულტურათშორისი კომუნიკაციის თემებზე. იწყება სემინარების მესამე რაუნდი თემაზე "გარდამავალი პერიოდის სამართალი". სულ ჩატარდება 3 სემინარი სამი განსხვავებული მიზნობრივი ჯგუფისათვის: სამოქალაქო აქტივისტები, სტუდენტები და ჟურნალისტები. თანაკოორდინატორის თქმით, მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ სემინარებში. გადაწყდა, რომ სემინარის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას ჯგუფის წევრები მიიღებენ ელექტორულად.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია